ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4840728

ნომერი: AR1730713

თარიღი : 24.01.2020

გაცემის თარიღი : 30.01.2020

გაცნობის თარიღი : 31.01.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისის,ნინო რამიშვილის ქუჩის N1 ჩიხი1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაკარიძე პ/ნ 21001001693
- თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულია უნებართვოდ მოწყობილი კედლის ლეგალიზება ხოლო ნომენკლატურა არჩეულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზება, შესაბამისად ერთმანეთან შეუსაბამოა მოთხოვნა და ნომენკლატურა. წარმოდგენილი არაა 2007 წლამდე კედლის მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოსადგენია დღევანდელი მდგომარეობის ობიექტის ფოტოსურათები. ასევე წარმოსადგენია ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტი.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესისდამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მისსაფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტითგათვალისწინებულ რაიმედოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადასდამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკეადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 (ათი) დღის ვადაში აირჩიოს მოთხოვნიდან გამომდინარე შესაბამისი ნომენკლატურა და დამატებით წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) 2007 წლამდე კედლის მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ) დღევანდელი მდგომარეობის ობიექტის ფოტოსურათები.

გ) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების აქტი.

2. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 10 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილავი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.